Project funded by EUROPEAN UNION

BioLearn

Black Sea CROSS BORDER COOPERATION

ჭაობების გამოყენება

ტრენერის გზამკვლევი



CROSS BORDER COOPERATION

საერთო საზღვრები. საერთო გადაწყვეტილებები.
www.blacksea-cbc.net

Caucasus Environment

Project funded by EUROPEAN UNION

BioLearn

Black Sea CROSS BORDER COOPERATION

BIOLEARN-BSB142
ეკო-გონივრული აზრი, შავი ზღვის აუზის
ღირშესანიშნავი
ადგილების დაბინძურების შესაჩერებლად

ჭაობების გამოყენება

ტრენერის ბროშურა

მიზნობრივი აუდიტორია 16+ წელი

ენეზის რაიონის მთავრობა

Gaziömerbey Mahallesi
Cumhuriyet Meydanı Hükümet Konağı
ენეზი / ედირნე
ტელეფონი: +90 284 811 6006
ელ.ფოსტა: enezkaymakamligi@gmail.com

მომზადებულია

Bilgesu Güngör Tutal
Tora Benzeyen

დიზაინი

OmaOma Medya ve Yayıncılık
Erden Gümüşçü / შემოქმედებითი დირექტორი
ემირჰან დემირჩი / გრაფიკული დიზაინერი

სამართლებრივი გაფრთხილება

© 2021 თურქეთის რესპუბლიკის ენეზის საოლქო მთავრობის ოფიციალური გამოცემა. ყველა უფლება დაცულია.

ამ ბროშურის ტექსტების, სურათების და ფოტოების გავრცელება, ან გამრავლება არ შეიძლება ნებართვის გარეშე. ბროშურაში მოცემული ინფორმაციის გამოქვეყნება შესაძლებელია მითითებით. ბროშურის შინაარსზე პასუხისმგებელი არიან ავტორები.

2014-2020 შავი ზღვის აუზის ერთობლივი ოპერაციული პროგრამა თანადაფინანსებულია ევროკავშირის მიერ ევროპული სამეზობლო ინსტრუმენტისა და მონაწილე ქვეყნების: სომხეთის, ბულგარეთის, საქართველოს, საბერძნეთის, მოლდოვის რესპუბლიკის, რუმინეთის, თურქეთისა და უკრაინის მიერ.

ეს ბროშურა მომზადებულია ევროკავშირის ფინანსური დახმარებით. ამ პუბლიკაციის შინაარსი ეკისრება ენეზის რაიონის მთავრობას და არ ასახავს ევროკავშირის მოსაზრებებს.

შინაარსი

პროექტის შესახებ 4

ბროშურის შესახებ 8

ჭაობების გამოყენება 10

ჭარბტენიანი ტერიტორიების გამოყენება სოციალურ-ეკონომიური მიზნებისთვის 10

სოციალურ-ეკონომიკური პრაქტიკული საქმიანობის ზეგავლენა ჭაობებზე 17

ლეგალური შეთანხმებები ჭაობების გამოყენებისთვის 21

აქტივობები 24

აქტივობა 1. ჭაობის პრობლემის ამსახველი ხე 24

აქტივობა 2. ყველაზე ეფექტური მოქმედების ძიება 26

შენიშვნები 29

წყაროები 30

პროექტის შესახებ

ბიოსწავლება (ეკოცნობიერება შავი ზღვის აუზის ღირსშესანიშნავ ჭარბტენიან ტერიტორიებში დაბინძურების შესაჩერებლად - BSB142) ინიცირებულ იქნა „შავი ზღვის აუზის ერთობლივი საოპერაციული პროგრამა 2014-2020" ფარგლებში, სადაც ევროკავშირის დირექტორატი წარმოადგენს ეროვნულ ორგანოს და რომელსაც ხელმძღვანელობს ენეზის რაიონის მთავრობა.

პარტნიორებია შემდეგი ორგანიზაციები:

1. თურქეთის ენეზის რაიონის მთავრობა

2. ეროვნული პარკების ედირნეს განყოფილების დირექტორატი დაქვემდებარებლი სოფლის მეურნეობისა და სატყეო მეურნეობის სამინისტროს ბუნების დაცვისა და ეროვნული პარკების პირველ რეგიონალურ დირექტორატს - თურქეთი

3. ფონდი „კავკასიის ეკოლოგია" - საქართველო

4. არასამთავრობო ორგანიზაცია „აგრიკოლა" - უკრაინა

5. მწვანე ბალკანელები / სტარა ზაგორა NGO - ბულგარეთი

6. ევროსის დელტასა და სამოთრაკის დაცული ტერიტორიების მართვის ორგანო - საბერძნეთი

პროექტის ძირითადი მიზანია ინფორმაციის მიწოდება, გამოცდილების გადაცემა და შესაძლებლობების გაძლიერება პარტნიორებს შორის, გარემოს დაცვისა და განათლების საკითხებისადმი ერთობლივი მიდგომების და მეთოდოლოგიების შემუშავება, კამპანიების ორგანიზება, რომელიც გაზრდის საზოგადოების ცნობიერებას რათა შეამციროს შავი ზღვის აუზის მნიშვნელოვანი ჭარბტენიანი ტერიტორიების დაბინძურება.

26 თვიანი პროექტის ფარგლებში განსახორციელებელი ძირითადი აქტივობებია:

1. გარემოს დაცვის მიმართულებით 4 სასწავლო ცენტრის შექმნა, რომელთაგან ერთი არის გალას ტბის სანაპიროზე და უზრუნველყოფს ვიზიტორებისთვის და განსაკუთრებით სტუდენტებისათვის გარემოს დაცვის თემებზე ტრენინგის ჩატარებას.

დანარჩენი 6 არსებული ცენტრისთვის უზრუნველყოფილი იქნება აღჭურვილობა და შეიქმნება 10 სასწავლო ცენტრის ქსელი.

2. ბულგარეთსა და საბერძნეთში ჩატარებული სემინარები, რომლებიც ფოკუსირდება ჭარბტენიანი ტერიტორიების დაცვისათვის წარმატებული ტრენინგისა და ცნობიერების ასამაღლებელი კამპანიის მაგალითების განხილვაზე, გამოცდილების გაზიარება და თრენინგებისათვის მომზადებული მასალები გამოყენებული იქნება ყველა ცენტრში. ასევე შესაძლებლობების განვითარების ტრენინგი ტრენერებისათვის.

3. მასობრივი და სინქრონიზირებული დასუფთავების კამპანიების ორგანიზება ჭაობებში დაბინძურების შესამცირებლად.

4. ჭარბტენიანი ტერიტორიების დაცვაზე ფოკუსირებული გამოფენისა და ფოტოკონკურსის მოწყობა, ჯილდოს დაწესება.

5. ჭარბტენიანი ტერიტორიის დაბინძურების თემეტიკაზე ნახატების კონკურსისა და გამოფენის ორგანიზება სკოლებში.

პროექტის შედეგები:

1. 5 ქვეყანაში დაარსდება გარემოსდაცვითი განათლებისა და საქმიანობის 10 ცენტრი - ”შეაჩერე დაბინძურება” და ”დაიცავი ბუნება”, რომელთაგან ერთი მობილურია და განახორციელებს სასწავლო და ცნობიერების ამაღლების ღონისძიებებს.

2. მომზადდება ანგარიში შავი ზღვის აუზის 5 ჭაობიან ტერიტორიაზე დამაბინძურებლების ბუნებაზე და მათი მაჩვენებლებზე.

3. მომზადდება სახელმძღვანელო საუკეთესო პრაქტიკის მაგალითებით, რომელიც მოიცავს ტრენინგებს და კამპანიებს ჭარბტენიანი ტერიტორიების დაცვაზე.

4. ჭარბტენიანი ტერიტორიების დაცვის სასწავლო კომპლექტი, რომელიც შედგება 12 ბუკლეტისგან, მომზადდება სპეციალურად სტუდენტებისთვის. ტრენინგების კომპლექტი ასევე გაზიარდება ინტერნეტში.

5. მას შემდეგ, რაც 10 მონაწილე 2 პარტნიორი ქვეყნიდან გაივლის ტრენერთა ტრენინგს, ისინი თითოეულ რეგიონში 25 ადამიანს (სულ 125 ადამიანი) მოამზადებენ და დაარსებულ ცენტრებში უზრუნველყოფილი იქნება სასწავლო ღონისძიებების მდგრადობა.

6. მინიმუმ 15 დაწყებით და საშუალო სკოლაში ჩატარდება ნახატების კონკურსი გარემოს დაცვის თემებზე და მოეწყობა ჟიურის მიერ შერჩეული ნახატების გამოფენა.

7. 5 რეგიონში მოეწობა ფოტოსურათების გამოფენა პროფესიონალი ფოტოგრაფების მონაწილეობით. მობილური გამოფენა „შეაჩერე დაბინძურება“ ავტოტრანსპორტით იმოგზაურებს 5 ქვეყანაში.

8. გარემოს დასუფთავების კამპანია ერთდროულად ჩატარდება 1500 ადამიანის მონაწილეობით 5 რეგიონში.

9. საქართველოში ჩატარებული საერთაშორისო კონფერენციის შედეგად, პროექტის შედეგები და სამომავლო სამოქმედო გეგმები გაზიარდება საზოგადოებისთვის.

დამატებითი ინფორმაციისთვის შეგიძლიათ ეწვიოთ პროექტის ვებგვერდს: www.bio-learn.org

ბროშურის შესახებ

ბროშურა წარმოადგენს ტრენინგის ნაწილს, რომელიც მომზადებულია პროექტის - „BIOLEARN-BSB142“ ფარგლებში. ეკოცნობიერი მიდგომა შეაჩერებს დაბინძურებას შავი ზღვის აუზის ძვირფას ჭარბტენიან ტერიტორიებზე. ბროშურა მომზადებულია ჭარბტენიანი ტერიტორიების მნიშვნელობაზე შავი ზღვის აუზის ქვეყნების ყურადღების მისაქცევად და შესაბამისად, ეკოცნობიერების ასამაღლებლად ჭაობების დაბინძურების თავიდან აცილებისა და განვითარებისთვის.

სასწავლო მასალა მიზნად ისახავს 8-14 წლის ბავშვების ცნობიერების ამაღლებას და შედგება ორი ნაწილისგან: მასწავლებლის ბროშურა და მონაწილის ბროშურა. ტრენერის ბროშურას აქვს დეტალური აქტივობის პროგრამა, ინსტრუქციები, საჭირო ინფორმაცია საგანზე, კითხვები შეფასებისთვის და რეკომენდაციები საქმიანობის გამდიდრებისთვის.

- აქტივობის დაწყებამდე გირჩევთ, ნახოთ ბროშურა მთლიანად და მოემზადოთ თემისთვის ბროშურაში მოცემული ინფორმაციის გამოყენებით.

- აქტივობის დასაწყისში მონაწილეებს უნდა დაურიგდეთ საჭირო მასალები და სამუშაო ფურცლები.

- აქტივობების გამოყენებისას მნიშვნელოვანია ფასილიტატორის/ ხელმძღვანელის როლის შესრულება და მონაწილეთა აქტიური მონაწილეობის უზრუნველყოფა.

- სასურველია ბროშურაში მოცემული აქტივობების დასრულება მოკლე დროში. ყველა ეს აქტივობა შეიძლება გამოყენებულ იქნას ზედიზედ, გარკვეული თანმიმდევრობით, რაც დამოკიდებულია განვითარების ეტაპებზე და მონაწილეთა ინტერესის დონეზე.

- დადებითი მხარე იქნება აქტივობების წარმოდგენა ბუნებრივი ინტერპრეტაციით და კითხვა-პასუხებით, მონაწილეთა ინტერესის შენარჩუნებით, ვიდრე ინსტრუქციის ფორმალური დაცვით.

- საქმიანობის მიზნებისგან განსხვავებით, აქტივობის ინსტრუქციის ზუსტად შესრულება ან ადაპტირება შესაძლებელია მონაწილის ასაკის, განვითარების სტადიებისა და ინტერესის დონის მიხედვით.

ჭაობების გამოყენება

ჭარბტენიანი ტერიტორიების გამოყენება სოციალურ-ეკონომიური მიზნებისთვის

ჭაობები ასრულებენ სხვადასხვა სამუშაობებს არაცოცხლი და ცოცხალი არსებების მდგრადი განვითარებისათვის ეკოსისტემებში. ჭაობები არის შეუცვლელი ბუნებრივი სტრუქტურა ჩვენი პლანეტისთვის ისეთი თვისებებით, როგორიც არის წყლის დაცვა, მიწისქვეშა წყლის რესურსების კვება, წყალდიდობებისა და დატბორვის პრევენცია. ამასთანავე ის წარმოადგენს სახლს მრავალი ცოცხალილ არსებისთვის მდიდარი საკვების გამო.

ჭაობებს ამ მახასითებლების (თვისებების) გამო მოაქვთ გარკვეული სოციალურ-ეკონომიკური სარგებელი ადამიანებისათვის. ათასობით წლების მანძლზე ადამიანები მთელ მსოფლიოში უსაფრთხოდ ცხოვრობდენ ჭაობების ამ სიკეთეების წყალობით, იკმაყოფილებდნენ თავიანთ ძირიითად მოთხოვნილებებს, როგორიც არის საკვების მოპოვება, ავითარებდნენ ცივილიზაციებს, რაც საფუძვლად დაედო დღევანდელ მსოფლიოს. მაგ. პირველი თემების დასახლებები და პირველი სასოფლო-სამეურნეო აქტივობები მსოფლიოში გამოჩნდა ევფრატისა და ტიგროსის ნაყოფიერი მიწების ირგვლივ, რომელსაც მესოპოტამია ეწოდება(დღევანდელი ერაყისა და სირიის ტერიტორიები). გარდა მესოპოტამიისა ადამიანთა დასახლებები თითქმის მთელ მსოფლიოში განვითარდა ჭაობებისა და წყლის რესურსების ირგვლივ. მსგავსი სიტუაცია შესამჩნევია შავი ზღვის აუზის ქვეყნებისათვისაც. დედაქალაქები, თბილისი და კიევი დაარსდა მდინარეების ნაყოფიერი

მიწების ირგვლივ. ამ თვალსაზრისით, უბრალო დამთხვევა არ არის, რომ ტოკიო, დელი და შანხაი, რომლებიც მსოფლიოს 3 უდიდეს ქალაქს წარმოადგენენ, დგანან დიდ მდინარეებზე, რომლებიც ქალაქის შუაში მიედინება.

ზოგიერთ შემთხვევაში მიწიქვეშა წყლები იკვებებიან ჭაობებიდან. წარსულში ხალხის ურთიერთობა ჭაობებთან ფოკუსირებული იყო ლერწმებისა და ხეების, როგორც სამშენებლო მასალის

გამოყენებაზე თავიანთი საცხოვრისის საჭიროების დასაკმაყოფილებლად, და აგრეთვე საკვების მოოპოვებაზე. მაგ. თევზებისა და ფრინველის დაჭერაზე. დროთა განმავლობაში ხალხსა და ჭაობებს შორის ეს ურთიერთობა განვითარდა და ჭაობებმა დაიწყეს მნიშვნელოვანი ადგილის დაკავება მესაქონლეობასა და სასოფლო-სამეურნეო აქტივობებში.

განსაკუთრებით, ნაყოფიერი მიწები ჭაობების ირგვლივ უზრუნველყოფენ იდეალურ პირობებს სოფლის მეურნეობისათვის და ხელს უწყობს სოფლის მეურნეობის წარმოებაში პროდუქტის მრავალფეროვნებისა და პროდუქტის რაოდენობის ზრდას.

ბრინჯის ნათესებს აქვს დიდი წილი სოფლის მეურნეობის წარმოებაში ჭაობიან ტერიტორიაზე

დღეს ჩვენ ვხედავთ, რომ ეს სოციალურ-ეკონომიური გამოყენება გრძელდება. ჭაობები, მსოფლიოს უმეტეს ადგილებში ისევ ასრულებენ მნიშვნელოვან როლს სოფლის მეურნეობის წარმოების აქტივობებში. წყალი, რომელიც ირიგაციისთვის გამოიყენება და ნიადაგის ნაყოფიერი სტრუქტურა ჭაობების ირგვლივ, იძლევა საშუალებას ამ წარმოებისათვის. მაგ. ბრინჯი არის ერთერთი მთავარი პროდუქტი, რომელიც იზრდება ჭაობში. გლობალური მასშტაბით 750 მილიონი ტონა ბრინჯი იწარმოება მთელ მსოფლიოში ყოველ წელს და ამ წარმოების უმეტესი წილი მოდის ისეთი მჭიდროდ დასახლებული ქვეყნების ჭაობებზე, როგორიც არის ჩინეთი და ინდოეთი. სოფლის მეურნეობის გარდა მსაქონლეობაც ითვლება ყველაზე მნიშვნელოვან სიკეთეთა შორის, რომელიც ჭაობების ირგვლივ განვითარდა. ჭაობები უმეტესად გამოიყენება მსხვილფეხა საქონლის საძოვრად, რადგან ეს არეალები უზრუნველყოფს ცხოველებს ადვილად მისაწვდომი და იაფიანი საკვებით.

იცოდი რომ?

კაფუს დაბლობის ჭარბტენიანი ტერიტორია ზამბიაში, რომელიც რამსარის კონცეფციით არის დაცული, ხდება საძოვარი 250 ათასზე მეტი საქონელისათვის ყოველ წელიწადს, როდესაც მშრალი სეზონი იწყება.

მარილის წარმოება და სამედიცინო ტალახის წარმოებაც ჭაობებისგან მიღებული სარგებლობის ჩამონათვალში ითვლება, განსაკუთრებით ტბები, მაღალი მარილიანობით და ჭაობები ზღვის სანაპიროზე თამაშობენ მნიშვნელოვან როლს, მარილის წარმოებაში გლობალური მასშტაბით. მარილის კონცენტრაცია შავ ზღვაში დაბალია და ამიტომ, მარილის წარმოება შავი ზღვის აუზის ჭაობებში არის დაბალი, მაგარამ ხმელთაშუა ზღვის აუზის ჭაობებს აქვთ მნიშვნელოვანი წილი მარილის წარმოებაში.

ასევე, სამედიცინო ტალახის წარმოება ჭაობებიდან არის მნიშვნელოვანი სოციალურ-ეკონომიკური სარგებული. ნიადაგის მდიდარი მინერალური სტრუქტურა სამედიცინო ტურიზმის დიდ ყურადღებას იქცევს.

აღსანიშნავია ასევე ტორფის მოპოვება, რომელსაც იყენებენ სოფლის მეურნეობაში.

ნადირობა ძალიან საკამათო საკითხია, თუმცა ისიც ჭაობთან დაკავშირებულ სოციალურ-ეკონომიკურ სიკეთეებს შორის ითვლება. ნადირობის აქტივობა ორ კატეგორიად იყოფა, თევზჭერა და ფრინველებზე ნადირობა. ჭაობების მდიდარი ეკოსისტემები და ბიომრავალფეროვნება სოციალურ-ეკონომიკური სარგებელის მიღების საშუალებას იძლევა. განსაკუთრებით თევზჭერა არის ის სოციალურ-ეკონომიკური სარგებელი, რომელსაც შეუძლია გამოკვებოს მსოფლიოს მოსახლეობის დიდი ნაწილი, რიგორც ძირითადმა კვებითმა წყარომ.
მეორე მხრივ, ნადირობა ფრინველებზე საჭიროა წესების დაცვით. თუმცა ისეთი პრობლემები, როგორიცაა ბრაკონიერობა და სახეობების იდენტიფიცირების ვერ შეძლება ნადირობის დროს ახდენს უარყოფით ზეგავლენას საფრთხის ქვეშ მყოფი ფრინველთა სახეობებისთვის.

ჭაობები იძლევიან მნიშვნელოვან სოციალურ-ეკონომიკურ სარგებელს თევზისა და აკვაკულტურის რესურსების მდიდარი მარაგის გამო

და ბოლოს, ეკოტურიზმი და რეკრიაციული აქტივობები ჭაობების კიდევ ერთ-ერთ სარგებლის მომტან თვისებად ითვლება. უნიკალური ბუნებრივი სიმდიდრე და ჭაობების ბიომრავალფეროვნება ქმნის გარემოს, სადაც ადამიანს შეუძლია სასიამოვნოდ გაატაროს დრო.

ბუნებრივი არეალები განსაკუთრებით პოპულარული ხდება ამ ბოლო წლებში ვიზიტორების მზარდი რიცხვით, კარგად დაგეგმილი ეკოტურისტული სტრატეგიითა და მინდვრებზე ვარჯიშით. რეკრიაციული აპლიკაციები, ისეთი როგორიც არის ვიზიტორების ცენტრები, სასეირნო ბილიკები,

დაკვირვების კოშკები და საინფორმაციო დაფები ჭაობიან ტერიტორიებზე ზრდის ვიზიტორების ცოდნასა და ინტერესს.



სოციალურ-ეკონომიკური პრაქტიკული საქმიანობის ზეგავლენა ჭაობებზე

ჭაობები გლობალური მასშტაბით, მილიონობით ადამიანს აძლევენ სხვადასხვა სახის სოციალურ-ეკონომიკურ სარგებელს, თუმცა ადამიანთა აქტივობებმა შეიძლება დააზიანოს ეს ბუნებრივი ეკოსისტემები, როდესაც ეს აქტივობები არ იზღუდება, არ რეგულირდება და ნაბიჯები არ იდგმება მათი ზეგავლენის შესამცირებლად. ჭაობები კარგავენ თავიანთ თვისებებს და საერთოდ ქრებიან.

ჭაობების სოციალურ-ეკონომიკური გამოყენების ყველაზე მნიშვნელოვან შედეგებს წარმოადგენს დაბინძურების ზრდა ჭაობებში, წყლის ხარისხის დეგრადაცია, წყლის დონის დაწევა და ჭაობის დაშრობა.

ქიმიური სასუქების გამოყენება სასოფლო-სამეურნეო აქტივობებში, ინტენსიური ფერმერული საქმიანობა, ნამჯის (ნაყანევის) დაწვა, ბრინჯის მოსავლის შემდეგ და ინტენსიური მესაქონლეობა იწვევს მარილის, მძიმე მეტალების და ქიმიკატების აკუმულირებას ნიადაგში. გაზრდილი ინდუსტრიული აქტივობები ჭაობების აუზებში და წარმოების ნარჩენების ჩაღვრა აფუჭებს მჭავიანობის ბალანსს ჭაობებში. იწვევს რა ეს წყლის ხარისხის დაქვითებას, აზიანებს ცოცხალი არსებების ურთიერთკავშირს ჭაობებთან და აჩქარებს ბიომრავალფეროვნების გაქრობას. ყველა ამ სახის დაბინძურება, ამასთანავე ვნებს სოციალურ-ეკონომიკურ სარგებელს, რომელსაც ადამიანი

ღებულობს ჭაობებიდან. ნიადაგის დაბინძურება ასუსტებს სოფლის მეურნეობის პროდუქტიულობას, აქცევს მას არადამუშავებად ნიადაგად დიდი ხნის განმავლობაში.

წყლის ხარისხის დაწევას აქვს უარყოფითი ზეგავლენა სოფლის მეურნეობაზე და ამასთანავე აზიანებს წყალთან დაკავშირებულ ისეთ სასარგებლო საქმიანობას, როგორიც არის თევზჭერა, რადგან ადგილი აქვს თევზების სახეობებისა და რაოდენობის შემცირებას.

პრობლემები, რომლებიც, საფრთხეს უქმნიან ჭაობებს, იწვევს ჭაობების ფუნქციების დაკარგვას და მათ საერთოდ გაქრობას

მეორე მხრივ, წყლის დონის ცვლილებას მოაქვს სერიოზული პრობლემები. წყლის ამოღება ჭაობებიდან სოფლის მეურნეობის ირიგაციისათვის, კაშხლების მშენებლობა მდინარეებზე და ნაკადულებზე, რომლებიც ჭაობებს კვებავენ, იწვევს წყლის დონის დაწევას ჭაობებში, ზედაპირის ფართობის შევიწროებას და მის სრულიად ამოშრობას. ეს პრობლემები შეიძლება გამოჩნდეს სოციალურ-ეკონომიკური საქმიანობის შედეგად ისევე, როგორც ჭაობის დაგეგმილი ამოშრობის მცდელობის შედეგად. ამ პრაქტიკული საქმიანობით წყლის სივრცე ჭაობებიდან იცვლება ამ არეალებში გახსნილი სადრენაჟე არხების საშუალებით. შემდეგ ჭაობს ამოაშრობენ, აქცევენ ახალ დასახლებად, ინდუსტრიულ ზონად ან სასოფლო-სამეურნეო ფართობად. ამოშრობის პროცესი, რომელიც თავდება ჭაობის ჰაბიტატის სრული განადგურებით, უმეტესად შეუქცევადია.

მაგ. კუიკუს ტბა თურქეთის ქალაქ კარაპში, რომელიც დაცულია რამსარის კონვენციის მიერ, 2009 წლიდან განიცდის ამ ბედს. კუიკუს ტბა ამოშრა სრულად მას შემდეგ, რაც წყალი დრენირებულ იქნა ჭაობიდან სოფლის მეურნეობის აქტივობებისათვის, რაც გამოწვეული იყო არასაკმარისი ნალექების გამო. თუმცა მომდევნო წლებში განხორციელდა ტბის გაჯანსაღების მცდელობები სხვადასხვა კონსერვაციული პროექტების საშუალებით, სრული წარმატება მაინც ვერ იქნა მიღწეული. ტბას, რომელიც არის მნიშვნელოვანი არეალი და ათასობით ფრინველის მიგრაციის გზა, მხოლოდ რამდენიმე ფრინველის მიღება შეუძლია ამ ბოლო წლებში.

იცოდი რომ?

ბუნების მსოფლიო ფონდის ცოცხალი პლანეტის ინდექსის მიხედვით 1970-დან 2010 წლამდე მტკნარი წყლის სახეობების პოპულაცია შემცირდა 76%-მდე.

ლეგალური შეთანხმებები ჭაობების გამოყენებისთვის

ჭაობების დასაცავად, სოციალურ-ეკონომიკური აქტივობებისა და მათგან გამოწვეული შედეგების პრევენცია, შესაძლებელია მხოლოდ გარკვეული ლეგალური შეთანხმებებით. ეს შეთანხმებები შეიძლება იყოს სამოქმედო გეგმები და მთავრობის მიერ ნაციონალურ დონეზე, არეალზე დაფუძნებული სტრატეგიული მოქმქდქებები, ისევე, როგორც გარკვეული შეზღუდვები და დაშვებები საერთაშორისო მასშტაბით.



ჭაობებიდან მიღებული სოციალ-ეკონომიკური სარგებელი შეიძლება შეიცვალოს მოცემული ჭაობის სტრუქტურის მიხედვით. მაგ. თუ ერთ ჭაობს სარგებელი მოაქვს თევზჭერისათვის, მეორე შეიძლება მდიდარი იყოს სოფლის მეურნეობის გამოყენების კუთხით.

ზუსტად აქ, ამ სტრუქტურის მქონე ჭაობებისთვის მომზადებული სპეციალური კანონმდებლობა ზრდის კიდევაც ამ კანონმდებლობის წარმატებულად გამოყენების შესაძლებლობას და უზრუნველყოფს არეალის მდგრად განვითარებას. ამ კანონმდებლობაში გლობალური მასშტაბით, არსებობს გარკვეული (არსებითი, ძირითადი) წესები და აკრძალვები ჭაობების დასაცავად. ეს წესები დაახლოებით შეიძლება იყოს შემდეგი:

- ისეთი შენობები, როგორიცაა ელექტროსადგურები, პორტები, ტერმინალები, ინდუსტრიული ობიექტები, არ შიძლება აშნებულ იქნას ჭაობების ტერიტორიაზე.
- სამთო მოპოვებითი სამუშაოები არ უნდა ხორციელდებოდეს ჭაობის შიდა ფარგლების ტერიტორიაზე.
- არანაირი ტიპის ნარჩენი არ უნდა ჩაიყაროს ჭაობში.
- სადრენაჟე და დაშრობის აქტივობები, რომლებსაც უარყოფითი ზეგავლენა აქვთ წყლის ხარისხსა და წყლის დონეზე, არ შეიძლება რომ განხოციელდეს.

- ყველა სახის ბუნებრივი წარმონაქმნი, როგორიც არის ხეები, ლერწმები, დიუნები, არ შეიძლება მოჭრილი, დაშლილი, ან გატანილი იქნას და იქნას ჭაობის ტერიტორიიდან.
- ისეთი აქტივობები, როგორიც არის ნავით, კანოეთი და წყლის თხილამურებით ცურვა, რომლებსაც ადამიანები ახორციელებენ ფრინველთა გამრავლების კოლონებთან და იწვევს სტრესს ფრინველებისათვის, არ შეიძლება ჩატარდეს ჭაობებში.

- ნებისმიერი მცენარეული საფარი, ჭაობის შიდა არეალში, განსაკუთრებით ლერწმები არ შეიძლება დაიწვას.
- ლერწმები ჭაობებში არ შეიძლება მოიჭრას კანონმდებლობით დაგეგმილი რაოდენობისა და დროის გათვალიწინების გარდა.
- ნადირობა აკრძალულია, გარდა განსზღვრული არეალებისა და შეზღუდვებისა. ჭაობის ტერიტორიაზე არ შეიძლება არანაირი ცოცხალი და არაცოცხალი ელემენტების შეგროვება.
- ნებისმიერი ტიპის თევზჭერა აკრძალულია, გარდა ლეგალურად ნებადართული და შეზღუდულ ფარგლებში დაშვებული თევზჭერისა.

აქტივობები

აქტივობა 1. ჭაობის პრობლემის ამსახველი ხე

მიზანი: ჭაობთან დაკავშირებული პრობლემებისა და შედეგების დადგენა.

მიზნობრივი აუდიტორია: 16+ წელი.

ხანგრძლივობა: 40 წთ.

სწავლების შედეგები:

- ის იმსჯელებს ჭაობების პრობლემებზე.
- ის ჩაწვდება ამ პრობლემების არსს, რის წინაშეც ჭაობები არიან და მიხვდება შედეგებს.

მასალა: თეთრი დაფა, დაფის მარკერი.

მეთოდი: ბრეიმშტორმინგი

აპლიკაცია

1. ესაუბრე მონაწილეებს ჭაობების ფუნქციების შესახებ და გაიგე, რა იციან. შემდეგ შეგიძლია მოიყვანო შემდეგი ახსნა-განმარტებები:

   ჭაობები ეხმარება ეკოსისტემებს შეუფერხებლად ფუნქციონირებაში, რისთვისაც ჭაობები მნიშვნელოვან სამუშაოს ასრულებენ. ისინი შეუცვლელი ბუნებრივი სტრუქტურაა ჩვენი პლანეტისათვის. მათი ფუნქციაა წყლის დაცვა, მიწისქვეშა წყლების რესურსების კვება, წყალდიდობებისა და დატბორვების პრევენცია. გარდა ამისა, ისინი წარმოადგენს სახლს ბევრი ცოცხალი არსებისთვის მდიდარი საკვების გამო. მათ მოაქვთ უამრავი სოციალურ-ეკონომიკური სარგებელი ადამიანისათვის. ლერწმებისა და ხეების სამშენებლოდ გამოიყენება საცხოვრებელი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად, ნადირობა - თევზებისა და ფრინველების საკვებად გამოყენება, მარილის წარმოება, სოფლის მეურნეობისა და მესაქონლეობის აქტივობები წარმოადგენენ ჭაობთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან საქმიანობებს. განსაკუთრებით, ჭაობების ირგვლივ არსებული ნოყიერი ნიადაგი ეხმარება სოფლის მეურნეობის წარმოებას პროდუქტის მრავალფეროვნებისა და პროდუქტის რაოდენობის მნიშვნელოვან ზრდაში. აგრეთვე, ჭაობები გახდნენ პოპულარული ბუნებრივი არეალები ეკოტურიზმისა და რეკრიაციული აქტივობებისათვის. მაგრამ ადამიანის ინტენსიური საქმიანობა ახდენს ზეწოლას ჭაობებზე და იწვევს მათ დაზიანებას.

2. შემდეგ მონაწილეებს დაუსვი კითხვები იმ ჭაობის მდგომარეობის შესახებ, სადაც თქვენ იმყოფებით. შეგიძლია გამოიყენო შემდეგი კითხვები, რომ პირდაპირ მიაქცევინო ყურადღება თქვენს რეგიონში არსემულ პრობლემაზე:
   - შენს რეგიონში არსებული ჭაობი ჯანმრთელ მდგომარეობაშია? როგორ ხვდები?
   - რაიმე საშიშროების წინაშე დგას?
   - როგორია წყლის დონე?
   - მიმდინარეობს სასოფლო-სამეურნეო აქტივობები ჭაობის ირგვლივ? ფიქრობ რომ ეს აქტივობები ზეგავლენას ახდენს ჭაობზე? როგორ?
   - აქვს ჭაობებს ნარჩენების პრობლემა?
   - ამ ჭაობის ტერიტორიაზე ხდება ნადირობა? როგორ მოქმედებს ეს ჭაობზე?

3. ამ პასუხებზე დაყრდნობით განსაზღვრე ჭაობის ყველაზე ჩვეულებრივი პრობლემა ამ რეგიონში.
4. დახატე ხე ფესვებითა და ტოტებით (შეგიძლია დახატო მეტი ხე მრავალ, რთულ პრობლემაზე სამუშაოდ) დაწერე მთავარი პრობლემა ხის შტამზე (ხის ძირითადი ნაწილი) მაგ. წყლის რაოდენობა გაიზარდა ჭაობში?
5. ჰკითხე მონაწილეებს პრობლემის მიზეზები, დაწერე ისინი ფესვებზე და უთხარი მონაწილეებს, მოვიდნენ და დაწერონ ეს სტყვები დაფაზე. მაგ. „ჭაობის ამოშრობა სოფლის მეურნეობისთვის მიწის გამოსაყენებლად“, „უწესრიგო არასისტემური ნალექები“ კლიმატის ცვლილების გამო...
6. შემდეგ იკითხე პრომლემის შედეგების შესახებ და დაწერე ისინი ხის ტოტებზე. მაგ. „მცენარეების სახეობების შემცირება“, ან „ეკოსისტემის დეგრადაცია“...
7. ამ ეტაპზე შენ შეგიძლია დაუმატო მეტი დეტალი არაპირდაპირი მიზეზებისა და შედეგებისა ტოტებსა ფესვებზე ცალკე შრეების გაკეთებით.
8. შემდეგ ჰკითხე ბავშვებს, რისი გაკეთება შეუძლიათ მათ პრობლემის გადასაჭრელად, დაუმატე გადაწყვეტილებები ფოთლების ან ხილის დახატვით ტოტებზე.
9. ხის სურათის დასრულების შემდეგ ესაუბრე პრობლემის მიზეზის ჩაწვდომაზე და საერთო სურათის დანახვის მნიშვნელობაზე.

შეფასების კითხვები:

შეგიძლია დაუსვა შემდეგი კითხვები მონაწილეებს აქტივობის დროს ან მის ბოლოს.

- პრობლემის ძირში არის ერთი მიზეზია, თუ მრავალი?
- ხის ფესვებში ცვლილებები გავლენას მოახდენს ტოტებზე? როგორ?

გავრცობები:

- შეგიძლია ჩაატარო ადამიანების გამოკითხვა. ასე შენ გაიგებ წარმოდგენა აქვს თუ არა ხალხს ჭაობების პრობლემების შესახებ.
- გაუკეთე ორგანიზება ცნობიერების ამაღლების პროექტს.

აქტივობა 2. ყველაზე ეფექტური მოქმედების ძიება

მიზანი: ჭაობთან დაკავშირებული პრობლემების საწინააღმდეგო ყველაზე ეფექტური მოქმედების ძებნა.

მიზნობრივი აუდიტორია: 16+ წელი

ხანგრძლივობა: 50 წთ.

სწავლების შედეგები:

- ის იმსჯელებს ქმედებებზე, რომლებიც ჭაობებს დაიცავენ.
- ის არჩევანს გააკეთებს მოქმედების დადებითი და უარყოფითი მხარეების შეფასების მიხედვით.

მასალა: ქაღალდის ფურცლები ან სტიკერები, ფანქარი, რომბების მოწესრიგების ბარათები.

მეთოდი: პრეისტორინგი, კრიტიკული აზროვნება, ჯგუფური მუშაობა.

აპლიკაცია

1. ესაუბრე მონაწილეებს პრობლემებზე, რომლის წინაშეც დგას ჭაობი, აარჩიე ერთერთი პრობლემა.
2. დაყავი მონაწილეები ჯგუფებად. უთხარი ჯგუფებს მოძებნონ ცხრა სხვადასხვა მოქმედება პრობლემის გადასაჭრელად. დაწერე ეს ცხრა სხვადასხვა რეკომენდაცია ქაღალდის ფურცელზე ან

სტიკერებზე. თუ გსურს, შეგიძლია აქტივობა აწარმოო „მზა“ ბარათების გამოყენებით. (რომბების მოწესრიგების ბარათები).

3. შემდეგ აუხსენი მონაწილეებს „რომბების მოწესრიგების“ მეთოდი.
   ჩვენ შევაფასებთ და დავალაგებთ სხვადასხვა მეთოდს რომბების მოწესრიგების მიხედვით. ჩვენ დავიწყებთ 1 იდეით, რომელიც მიგვაჩნია, რომ ყველაზე მნიშვნელოვანია. მას მოთავსებით თავში, მწერვალზე. მის ქვეშ მოვათავსებთ 2 მნიშვნელოვან იდეას, 3 ნაკლებ მნიშვნელოვან იდეას მათ ქვეშ. 2 ნაკლებ მნიშვნელოვან იდეას კი მათ ქვეშ და ბოლოს ფსკერზე, 1 ყველაზე ნაკლებ მნიშვნელოვან იდეას მათ ქვეშ, სანამ არ შევქმნით რომბისებრ ფორმას. ჩვენ მივაღწევთ ისეთ განლაგებას, როგორიც ამ სურათზეა:
   სურათი-რომბი
4. მიეცი ჯგუფებს დრო მოსაფიქრებლად. უთხარი, რომ არ არსებობს არანაირი სწორი და არასწორი პასუხი, და რომ ყველა მეთოდს აქვს თავისი უპირქტესობა და ნაკლიც. უთხარი მათ, რომ მოგვცენ ახსნა ყველაზე მეტად მნიშვნელოვანი და ყველაზე ნაკლებ მნისვნელოვანი მეთოდის შესახებ იმ დროს, როდესაც პრობლემების დალაგებას (რანჟირებას) აკეთებენ.
5. დაამთავრე აქტივობა, როცა ჯგუფები დაამთავრებენ რანჟირებას (დალაგებას). თხოვე ყველას გააზიარონ თავიანთი არჩევანი და ახსნები.



შეფასების კითხვები:

შეგიძლია დაუსვა შემდეგი კითხვები მონაწილეებს აქტივობის დროს, ან აქტივობის ბოლოს;

- რომელია ყველაზე ძლიერი მხარე არჩეული მოქმედებისა? რომელია ყველაზე სუსტი მხრე?
- შესაძლებელია ყველა ამ მოქმედების გამოყენება რეალურ ცხოვრებაში?

გავრცობები:

- შეგიძლია გამოიყენო ყველაზე ეფექტური მეთოდი მონაწილეებთან ერთად აქტივობის ბოლოს და შექმნა დაგეგმილი პროექტი ამ მეთოდის ქმედებაში გამოსაყენებლად.

რომბისებურად განლაგების ბარათები

საუკეთესო მოქმედებები		
ლობირება გადაწყვეტილების მიმღებებთან მაგ. წერილი, პეტიცია, ან ვიზიტი	ორგანიზაციების პოვნა, რომლებსაც შეუძლიათ დახმარება და მათი ჩართვა ადგილობრივ, ეროვნულ ან გლობალურ კამპანიებში	შოუს/თეატრის/სპექტაკლის დადგმა, რომელიც გავლენას მოახდენს ადამიანებზე პრობლემურ საკითხთან მიმართებაში
სოციალური მედიის გამოყენება შთაგონებისთვის და ცნობიერების ამაღლებისთვის	ახსნა-განმარტების, ბროშურის, ან პლაკატის მომზადება საკითხის შესახებ და ადგილობრივად ჩვენება	ცხოვრების სტილზე დაკვირვება და თუ საჭიროა, მისი შეცვლა. მაგ. კვების, ტანსაცმლის, საყიდლების შეცვლა.
ვიდეოს, ან ფოტოსურათების გადაღება, გამოფენისა და პრეზენტაციის მოწყობა პრობლემურ თემაზე	ფულის შეწირვა იმ ორგანიზაციებისთვის, რომლებიც პრობლემურ თემაზე მუშაობენ	მედიის მოწვევა ღონისძიებებზე, მოხსენების გაკეთება რადიოში, ან ტელევიზიაში

შენიშვნები

წყაროები

Action card ranking (2015). In Global Citizenship In The Classroom A Guide For Teachers. (p. 19). OXFAM.
https://oxfamilibrary.openrepository.com/handle/10546/620105

FAOSTAT. (n.d.). Food and Agriculture Organization of the United Nations.
http://www.fao.org/faostat/en/#data/QC

Hook, D. D. (1993). Wetlands: History, current status, and future. Environmental Toxicology and Chemistry, 12(12), 2157–2166.
https://doi.org/10.1002/etc.5620121202

Issue Tree (2015). In Global Citizenship In The Classroom A Guide For Teachers. (p. 13). OXFAM.
https://oxfamilibrary.openrepository.com/handle/10546/620105

Mccartney, Matthew & Rebelo, Lisa-Maria & Senaratna Sellamuttu, Sonali & de Silva, Sanjiv. (2011). Wetlands, Agriculture and Poverty Reduction.

RAMSAR. (2010). Fact Sheet 3 - Wetlands: a global disappearing act.
https://www.ramsar.org/sites/default/files/documents/library/factsheet3_global_disappearing_act_0.pdf

The Economist. (2014, May 8). A second green revolution.
https://www.economist.com/leaders/2014/05/10/a-second-green-revolution

მასალის რედაქტორი
ენეზის რაიონის მთავრობა
მისამართი: Gaziömerbey Mahallesi, Cumhuriyet Meydanı
Hükümet Konağı 22700 Enez / Edirne
ტელეფონი: +90 284 811 60 06
ელ.ფოსტა: enezkaymakamligi@gmail.com
ვებ-გვერდი: www.enez.gov.tr

შავი ზღვის აუზის ერთობლივი ოპერაციული პროგრამა 2014-2020

მასალის რედაქტორი ენეზის რაიონის მთავრობა

2014-2020 შავი ზღვის აუზის ერთობლივი ოპერაციული პროგრამა თანადაფინანსებულია ევროკავშირის მიერ ევროპული სამეზობლო ინსტრუმენტის საშუალებით და მონაწილე ქვეყნების მიერ: სომხეთი, ბულგარეთი, საქართველო, საბერძნეთი, მოლდოვის რესპუბლიკა, რუმინეთი, თურქეთი და უკრაინა.

პუბლიკაცია მომზადდა ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით. მის შინაარსზე პასუხისმგებელია ენეზის რაიონის გამგებლობას და არ ასახავს ევროკავშირის შეხედულებებს.